საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030610049515917

0177, თბილისი, მ. ასათიანის 9;

9 M. Asatianis st., Tbilisi, 0177, Georgia; Phone: (995-32) 39-89-46; 43-54-38; Fax:(995-32) 43-30-59 E-mail:ncdc@access.sanet.ge;ncdc@ncdc.ge

#06/2343

01 / ივნისი / 2017 წ.

FactCheck-ის ანალიტიკოსს
ქალბატონ მანონი ბოკუჩავას

ქალბატონო მანონი

სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა (შემდგომში-ცენტრი) განიხილა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ღონისძიებათა დაგეგმვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოდან გადმოგზავნილი თქვენი მიმდინარე წლის 29 მაისის N54728 წერილი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ცენტრის ლაბორატორიების ქსელი წარმოდგენილია ლუგარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრის ლაბორატორიით (ქ. თბილისი) და საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეგიონული მართვის დეპარტამენტის იმერეთის სამმართველოს (ქ. ქუთაისი), აჭარის სამმართველოს (ქ. ბათუმი), ფოთის (ქ. ფოთი), სამეგრელო-ზემო სვანეთის (ქ. ზუგდიდი), რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის (ქ. ამბროლაური), სამცხე-ჯავახეთის (ქ. ახალციხე), კახეთის (ქ. თელავი), გურიის (ქ. ოზურგეთი) და შიდა ქართლის (ქ. გორი) განყოფილებების ლაბორატორიებით, რომლებიც წარმოდგენილია რეგიონალური სადიაგნოსტიკო (BSL – 2 დონე) და ტუბერკულოზის ბაქტერიოსკოპული ლაბორატორიებით, ასევე ეპიდემიოლოგიური ჯგუფით. მათი ძირითადი ფუნქციაა რეგიონში განსაკუთრებით საშიშ, სხვა გადამდებ და არაგადამდებ დაავადებებზე ეპიდემიოლოგიური და ლაბორატორიული ზედამხედველობა, დაავადების შემთხვევების, ეპიდაფეთქებებისა და სხვა საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის არაკეთილსაიმედო სიტუაციების დროული აღმოჩენა და კვლევა.

განყოფილებებში ხორციელდება:

განსაკუთრებით საშიში ინფექციების ბაქტერიოლოგიური, სეროლოგიური დიაგნოსტიკისათვის ნიმუშების აღება, სინჯების მომზადება და გადაგზავნა შემდეგ დონეზე კვლევისათვის;

ტუბერკულოზის დიაგნოსტიკა ბაქტერიოსკოპული მეთოდით, გადამდები დაავადებების ეპიდაფეთქებების დროული აღმოჩენა (ბაქტერიოლოგია, სეროლოგია);

ლაბორატორიული – ბაქტერიოლოგიური და სეროლოგიური - მომსახურების მიწოდება სამედიცინო სერვისის მიმწოდებლებისათვის;

სანიტარიულ – მიკრობიოლოგიური და სეროლოგიური კვლევების შესრულება მუნიციპალური პროგრამებისათვის და სამედიცინო დაწესებულებებისათვის.

ხოლო, რაც შეეხება წერილში აღნიშნულ აბსურდულ ბრალდებას, აღნიშნულის თაობაზე ცენტრის მიერ არაერთგზის გაკეთდა კომენტარი და ქართული დელეგაციისათვის ჟენევის მოლაპარაკებებზე მომზადდა შესაბამისი მასალები ლაბორატორიების საქმიანობის შესახებ.

პატივისცემით,

სამმართველოს უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი

ხათუნა ფირანიშვილი

ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
211324351